№ 233 10 ნოემბერი, შაბათი | 1866—1879 | 10 ნოემბერი, შაბათი № 233

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

### ორი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე"

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**ფასი** ორი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—**ორი** მანეთი.

---

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი**, 5 ნოემბერს. დღეს ტელეგრაფით მოიხწეს მინისტრები და 4 საათიდამ შეკრებილნი არიან მოსალაპარაკებელად; გარდა რიჩმონდისა ყველა მინისტრები არიან ამ კრებაზედ.

**ლონდონი**, 6 ნოემბერს. გაზ. „ტაიმსი" გვაცნობებს, ინგლისის ოსმალეთ ელჩს ლეიარდს ჩაუბარებია გუშინ მთავარ ვეზირისათვის ნოტა, რომელშიაც გამოცხადებულია მოთხოვნილება, რომ ოსმალეთის მთავრობამ შეადგინოს კარგი მილიცია და ვალად იდვას მთელი გამგეობის ცოტ-ცოტათი შეცვლა, რეფორმების შემოღება. ხონთქარმა ბეკერ-ფაშა თავის წარმომადგენლად დანიშნა მცირე აზიაში რეფორმების შემოღების დროს თვალ-ყურის სადევნებლად; ბეკერი ამ კვირაში მიდის სტამბოლიდამ ამ მოვალეობის შესასრულებლად.

**პეტერბურღის ბირჟა**, 6 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 94--50 |
| მეორე — — — — | 93—50 |
| მესამესი — — — | 93—25 |
| მეოთხესი — — — | 93— „ |
| აღმოსავლეთის პირ. — | 90—50 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90—50 |
| აღმოსავლეთის, მესამე — | „— „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7—83 |
| გირაოს ფურცელი — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის— — | 228— „ |
| მეორე სესხის — — | 227—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—12 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 214—25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 265— „ | სანტიმი |
| ვენა — — — | 129— „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

---

# საქართველო

### დღიური

** ჩვენ გვაცნობებენ ქუთაისიდამ, რომ „ქუთაისის ქალაქის პირველ-დაწყებითი სასწავლებელი" ამ ნოემბრის განმავალობაში გაიხსნებაო. მოგვყავს რამდენიმე უფრო საჭირო მუხლი ამ სასწავლებლის წესდებიდამ:

1). სასწავლებელში მიიღებიან ყმაწვილები ქუთაისის მცხოვრებთა ყველა წოდების და სარწმუნოებისა; უპირატესობა მიღებაში ექნება ღარიბეს მცხოვრებთა შვილებს; წლოვანება დანიშნულია არა ნაკლებ შვიდისა და არა უმეტეს თერთმეტის წლისა.

2). თხოვნა სასწავლებელში ყმაწვილების მიღების თაობაზე, თან წარდგენით მეტრიკულის წიგნებიდამ გამოწერილობისა და, თუ ყმაწვილის დედ-მამა ღარიბია, ქალაქის გამგეობის მოწმობისა, მიეცემა სასწავლებლის ზედამხედველს სექტემბრის დადგომამდი. ხოლო ამ წელში მიღება ყმაწვილებისა იქნება 1 იანვრამდის მომავალის 1880 წლისა.

3). სასწავლებლის ზედამხედველის ბინა არის თვით სასწავლებელში, ბაგრატიონის სახლში, თფილისის ქუჩაზე.

** ჩვენ შევიტყუეთ, რომ თ. დ. ა. მიქელაძეს შეუტანია კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოში თხოვნა კვირის გაზეთის გამოცემის ნება-რთვაზედ ქ. ქუთაისში, რომელსაც (გაზეთს) ერქმევა სახელად „რიონი". ამბობენ, რომ ამ გაზეთის ნება-რთვის მიცემას ცოტა დაბრკოლება მიეცაო, სახელდობრ ის, რომ გაზეთის წლიური ფასი ექვსი მანეთი არის და პროგრამმაში, სხვათა შორის, მოხსენებულია სამოსამართლო ქრონიკაც; კანონი კი თხოულობს, რომ ფასი იმ გაზეთისა, რომელსაც სამოსამართლო ქრონიკის განყოფილება აქვს, შვიდ მანეთზე ნაკლები არ უნდა იყვეს. უეჭველია, რომ ამ დაბრკოლების მოსპობა ადვილად შეუძლია გამომცემელს: ან სამოსამართლო ქრონიკას შესწირავს თავის პროგრამმიდამ, ან გაზეთის ფასად შვიდ მანეთს გამოაცხადებს, და ამის გამო შემდეგ არავითარი დაბრკოლება აღარ ექმნება.

ამას გარდა ნამესტნიკის მთავარ სამმართველოში დიდი ხანია არის კიდევ შეტანილი თხოვნა უფ. ბურგენიძისაგან თვიური ჟურნალის „იმედის" გამოცემის ნება-რთვაზედ.

ამ ნაირად, მომავალის წლიდამ ორი ახალი პერიოდული გამოცემა ემატება ჩვენს ლიტერატურას. ძმურის სიყვარულითა და თანაგრძნობით მივეგებებით ამათ დაბადებას. ეს ამათი დაბადება გვიმტკიცებს ჩვენ, რომ ჩვენს საზოგადოებაში თან-და-თან მატულობს და იზრდება კითხვის ხალისი, განათლება და სამშობლო ენის სიყვარული...

** ჩვენ გვითხრეს, რომ ზოგიერთები უკმაყოფილებას აცხადებენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზე იმის გამო, რომ ამ სასწავლებელში ერთობ ბევრი შაგირდები არიან მიღებულნიო და მომეტებული ნაწილი ამათგანი თითქმის ფეხ-შიშველნი, ტიტველნი და მშიერნი დარბიანო, ამით სასწავლებელს სახელი უტყდებაო, შაგირდებიც ვერ სწავლობენო და სხვ. და სხვ.

იქნება რომელიმე სხვა მხრით იყოს ეს სასწავლებელი გასაკიცხავი, მაგრამ

ამ მხრით კი არც ერთი გონიერი კაცი არ გაჰკიცხავს იმას: პირ-იქით ქების ღირსია სასწავლებლის მთავრობა; თუ მართლა ასე ბევრი შაგირდები მიუღია იმას და არ მიუქცევია ყურადღება იმაზედ: აქვთ თუ არა შაგირდებს შეძლება და მაინცა-და-მაინც კარგათ გამოწყობილნი და მაძღარნი დაიარებოდნენ სასწავლებელში. მართალია, კარგია, როცა მოსწავლე ყმაწვილს არაფერი არ აკლია, როცა იმას კარგათაც აცვია, წიგნებიც ბლომათა აქვს; სასმელ-საჭმელიც სამყოფად და სხვ.; მაგრამ ცხოვრებაში კი თითქმის მუდამ იმას ვხედავთ ჩვენ, რომ მდიდრის შვილები ყოველთვის უფრო სუსტად სწავლობენ, ვინემ ღარიბებისა; მდიდრის შვილები პატარაობითვე ერთობ განებივრებულები არიან, ყველაფერში სხვისი იმედი აქვთ, ყველაფრის დამზადებულის მირთმევას არიან შეჩვეულნი, თავიანთ სიმდიდრის იმედი აქვსთ, და ღარიბს კი მარტო რთი ნუგეში დარჩენია გაჭირებიდამ გამოსასვლელად: სწავლა და მეცადინოება; ეს სახსარი ამხნევებს იმათ, უღვიძებს სწავლის ხალისსა და ენერგიას...

*** მკითხველს ეხსომება ის პატარა შენიშნვა, რომელიც ჩვენი გაზეთის ერთს წინანდელ ნომერში იყო დაბეჭდილი შესახებ იმ საზოგადოებისა, რომელიც ამ ორი წლის წინათ იყო დაარსებული თფილისში „ღარიბ მეომართა ოჯახების შესაწევნელად“; ეხსომება ის წერილიც, რომელიც ამ საზოგადოების თავმჯდომარემ პატივცემულმა დ. ი. ყიფიანმა დაბეჭდა ჩვენსავე გაზეთში.

ამ საგნის შესახებ გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია ახლა საზოგადოების სეკრეტრის უფ. იზმაილოვის წერილი და ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა. თავის წერილში უფ. იზმაილოვი ამბობს, ანგარიში საზოგადოებისა დიდი ხანია წარდგენილი აქვს მელიკი ქნიაგინასაო, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, დღემდინ ეს ანგარიში გაზეთებში ვერ გამოვაცხადეთო.

ახლა გამოცხადებულ ანგარიშიდამ სჩანს, რომ ხსენებულ საზოგადოებას თუ ხელის-მოწერით, თუ სხვა-და-სხვა უწყებებისაგან და თუ სხვა წყაროებიდამ შემოსვლია სულ 7,808 მან. და 88 კაპ. და ამ ფულიდამ მეომართა ღარიბ ცოლ-შვილის შესაწევნელად დაუხარჯავთ 7,556 მან.; 58 მან. და 61 კაპ. დახარჯულა საზოგადოების კანცელარიაზე და დანარჩენი 194 მან. და 27 კაპ. თფ. ქველ-მოქმედ საზოგადოებისათვის გარდაუციათ.

---

## ჩვენი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელნი

(წერილი რედაქტორთან)

„ყველა ჩვენი ოთხ-კლასიანი სასწავლებლები ცუდ მდგომარეობაში არიანო“, იყო თქმული თქვენი გაზეთის № 230-ში იმერეთში სამღვდელოების ყრილობის თაობაზე დაწერილ სტატიაში.

საუბედუროთ, ეს აზრი სრული და აშკარა ჭეშმარიტებაა. თუმცა ადგილობრივმა მწერლობამ ბევრი სტუქსა ამ სასწავლებლების გამგებელნი, ბევრჯელ-უჩვენა მათ შეცდომილება სწავლის საქმეების წარმოებაში, მაგრამ მათ, თითქო განგებ, ერთ ყურში შეუშვეს, მეორიდან გაუშვეს, საზოგადოების წინ თქმული და გამჟღავნებული აინუშიაც არ მიიღეს: ისევ ძველ გზას ადგიან, ძველებურათ მოქმედობენ. ზოგმა თითქო სისტემა შესცვალეს, მაგრამ ეს შეცვლა დაემგზავსა გველის კანის გადაქექას ასე რომ შიგნიური სენი ისევ დარჩა ყოვლის ძალით თვისით.

აი მაგალითებრ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, სადაც მოქმედებდა განსვენებული ზერ. კალანდარიშვილი და ახლა უფ. ასათიანი

უფ. ასათიანი ვერ დაიკვეხის, რომ მისი სასწავლებელი კარგათ მიდის. სასწავლებელი კარგათ მაშინ წავა, როდესაც ყველა მასწავლებლებს აქვთ ერთმანეთში ერთობა და თავის მოვალეობას სიყვარულით და სინიდისიანად ასრულებენ, როცა ყველა მასწავლებლები ერთ ნაირათ, ძმურათ მოექცევიან ყმაწვილებს.

ოზურგეთის სასწავლებელზე და თფილისისაზე რამდენი იყო თქვენს გაზეთში თქმული! თქვენ და თქვენს კორრესპონდენტებს ყბები მოგეღალათ, მაგრამ საქმე კი არც ნატამლადაც არ გასწორდა. ოზურგეთის სასწავლებელში ისევ ბატონი დეკანოზი იმყოფება, თფილისისაში იგივე სტახოვსკი და სხ.

უფ. სტახოვსკის უკანონო მოქმედებაზე და სრულიად უნაყოფო და მავნებელ შრომაზე შარშან და წინეთაც ბევრი თქმულა. ჩვენ გვეგონა, რომ ამ კაცს სამღვდელოება აქამდის მოიშორებდა.

არ გაგონილა იმისთანა გულ-ავარდნით საქმის წაყვანა, როგორც ამ სასწავლებელშია! თვითონ ზედამხედველი თავის გაკვეთილებს თურმე სტოვებს და სეირნობს; [illegible] გაკვეთილებზე იუნკრის შკოლაში, როცა თავის სასწავლებელში ბევრი გაკვეთილები ჰქონდა, როცა ამის ნება არა აქვს კანონის ძალით.

მაგრამ ყველა ეს იმდენათ საგრძნობელი არ იქნებოდა, თუ ადმინისტრაციული ნიჭი ჰქონოდა მაინც ამ კაცს. მაგრამ ეკონომიური მხარე სასწავლებლისა უნუგეშო მდგომარეობაშია. ეკონომი ამათ არა ჰყავთ; სურსათი და დღიური ხორაგი ყმაწვილებისა (115 ყმაწვილია) მიბარებული აქვთ ვიღაცებს. ეს კამმისარიო, ეს ჩლენებიო, ეს ალიაო, ეს ოსმანაო, ერთის სიტყვით ყველა პატრონია და იმავე დროს არცერთი. ეს უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ ჩვენი შვილები აცხადებენ ყოველთვის უკმაყოფილებას ხორაგეულზე. უფ. ზედამხედველი თურმე სრულიად არ დაიარება ყმაწვილების სადილზე, სამზარეულოში, საწოლ ოთახებში, სასწავლოში და სხვ. ასე, რომ არც კი იცის, მგონია, რა დანიშნულობა აქვს იმ ოთახს, რომელიც მის გვერდით არის. ბევრჯელ გაგვიგონია ჩვენის შვილებისაგან, რომ „სასწავლო წიგნებს არ გვაძლევენო, არ ვიცით როგორ ვისწავლოთო და საკითხავ წიგნებს არც კი გვასუნინებს ზედამხედველიო; ამისათვის ყვირილისა და ვაი-ვაგლახის მეტს არას ვაკეთებთო და სხვ.!“

ერთის სიტყვით, საჭირო არის, ამ ჩვენ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელთა უბედურ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ..

X.

---

# უცხო ქვეყნები

## ოსმალეთი

სულ ეს აყალ-მაყალი და განხეთქილება, რომელიც მოხდა ამ უკანასკნელ დროს ოსმალეთსა და ინგლისს შუა, წარმოსდგა იმისაგან, რომ ხონთქარმა ხელ-ახლად დანიშნა თავის მინისტრად მაჰმუდ-ნედიმ ფაშა, რომელიც დიდი ხნიდგანვე რუსეთის თანამგრძნობელად არის ცნობილი. ამ ფაშის დანიშნვა მინისტრათა და ინგლისის სამხედრო ხომალდების მოსვლა ოსმალეთის წყლებში ერთი იყო; ამას გარდა ინგლისის ელჩმა ლეიარდმა წარუდგინა ხონთქარს სხვა-და-სხვა წინადადებანი შესასრულებელად; ამ წინადადებებში ყველაზე უფრო შესანიშნავი არის ის, რომ ოსმალეთის მთავრობამ ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შემოიღოს რეფორმები

საზოგადოთ მთელს ოსმალეთში და განსაკუთრებით მცირე აზიაში. ლეიარდმა მოსთხოვა სულთანს ხელ-ახლად პირობის შეკვრა კვიპრის კუნძულის შესახებ და შემდეგი რეფორმების შემოღება მცირე აზიაში: ხარჯის ამკრებლებად და ფინანსიის ინსპექტორად უნდა იქმნენ დანიშნულნი ინგლისელები; მცირე აზიის ადგილობრივ ჯარების უფროსად იქმნებიან ინგლისის აფიცრები; უნდა დაწესდეს ახალი სასამართლოები, რომელ თავმჯდომარედ ინგლისელები იქმნებიან. ხონთქარი თანახმა არის ყველა ამ რეფორმების შემოღებაზედ იმ პირობით, რომ უზენაესი უფლება მცირე აზიაში ისევ იმას, სულთანს, ჰქონდეს და ზედამხედველობა გამგეობისა კი ინგლისს მიენიჭოს.

უკანასკნელი ტელეგრამმებიდამ სჩანს, რომ ამ ინგლისის წინადადებისა და თვითონ ხალხის ალელვებისაგან შეშინებულ სულთანს ულაპარაკნია უცხო ქვეყნის ელჩებთან—თუ როგორ უნდა მოიქცეს ის ამ შემთხვევაში და ყველას ურჩევია, რომ დაუყონებლივ რეფორმები უნდა შემოიღოს თავის სახელმწიფოში და დაემორჩილოს ინგლისის მოთხოვნილებას; მხოლოდ რუსეთის ელჩი ურჩევდა იმის წინააღმდეგს. ხონთქარი, როგორც დეპეშები გვაცნობებენ, დამორჩილებია ლეიარდის მოთხოვნილებას და გარდაუწყვეტია რეფორმების შემოღება თავის სახელმწიფოში.

— ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი ტელეგრამმა, რომ ინგლისი სხვათა შორის სთხოვს ოსმალეთს „არხეს“ ნავსადგურის დათმობას შავს ზღვაზე, ტრაპიზონის მახლობლათაო. ეს „არხე“ შეცდომით იყო ტელეგრამმაში.

ამ საგნის შესახებ ზოგიერთ რუსულ გაზეთებში გაცხარებული სტატიები იყო დაწერილი; ისინი ამბობენ, რომ ბათუმის მახლობლად თუ ინგლისმა ფეხი ჩამოდგა, ჩვენი საქმე ძალიან გაძნელდება ბათუმისაკენაო, ომიანობის დროს ინგლისს შეუძლიან თავის ჯარები ზედ ჩვენს სამზღვარზე გამოიყვანოს და ამ ნაირად ინგლისი შეგვავიწროებსო და სხვ. ამის გამო უნდა ვეცადნოთ, რომ ინგლისმა ეს ნავსადგური არ შეიძინოს ასე ახლოს ჩვენ მეზობლათაო.

---


## განცხადებანი

ამ დღეებში გამოვა ვოდევილი

„მოდი და ენდეთ ქალსა!“

თხზულება მ. ზ. ჯორჯაძისა.


# ტფილისის სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობისაგან

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სააღგილ-მამულო ბანკის გამგეობა, უმაღლესად დამტკიცებულის თავის წესდების § 16 ძალით აცხადებს, რომ ამ 1879 წლის მომავალ 15 ქრისტეშობისთვეს, 12 საათზე, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ყორღანოვის სახლში № 3, იქნება საზოგადო გაყიდვა, (ხელ-მეორედ ვაჭრობის დაუნიშნავად) იმ ქვემო-მოყვანილ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მოთხოვნილების თანახმად, არ შემოუტანიათ თავის ვადაზე ფული ამ ბანკში დაგირავებულ მამულებისა:

**მაღალაშვილი,** ლუარსაბ ალექსანდრეს ძე—ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ადგილით 324½ ოთხ-კუთხი საჟენი ქ. ტფილისში, მეორე განყოფილების მე-11 უჩასტკაში. თავნი ვალი—6,097 მან. 14 კაპ. შემოსატანი გადასახადი—377 მან. 82 კაპ., სულ 6474 მან. 96 კაპ.

**საჟრონოვი,** ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე—ერთ ეტაჟიანი სახლი ადგილით 146 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, 2 განყოფილებისა მე-16 უჩასტკაში. თავნი ვალი 554 მან. 30 კაპ., გადასახდელი 35 მან. 62 კაპ., სულ 589 მან. 92 კაპ.

**ტერ-მიკირტიჩიანც,** ქრისტეფორე ნიკიტის ძე—სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, თან მიწა 634½ ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის მე-2 განყოფილების 2 უჩასტკაში. თავნი ვალი 75,752 მან. 16 კაპ., გადასახდელი 4776 მან. 10 კაპ., სულ 80,528 მან. 26 კაპ.

**გურდულოვი,** ალექსანდრე სოლომონის ძე—ორი დუქანი ადგილით 600 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისში, 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში. თავნი ვალი 2,799 მან. 93 კაპ., გადასახდელი 188 მან. 95 კაპ., სულ 2,988 მან. 88 კაპ.

**ერისთავისა,** ილიტა დიმიტრის ასული—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მიწით 500 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიის ქ. გორში, მთავარ ქუჩაზე. თავნი ვალი 9,333 მან., გადასახდელი 494 მან., სულ 9827 მან.

**ხულხანოვისა,** მარიამ ივანოვის ასული—ა) ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ ეტაჟიანი დუქანი, ორი ორ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი ადგილით 276 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისში ა) 1 განყოფილების მე-7 უჩასტკაში, ბ) ჩუღურეთში 2 განყ, 14 უჩასტკაში. თავნი ვალი 16,799 მან. 54 კაპ., გადასახდელი 875 მან, 60 კაპ. სულ 17,675 მან. 14 კაპ.

**ჭრელაშვილი,** პროტოიერეი გრიგოლი დავითის ძე—ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ბაღით და ადგილით 4 დესიატინა. ტფილისში, 2 განყოფილების მე-16 უჩასტკაში, ნავთლუღში. თავნი ვალი 1866 მან. 63 კაპ., გადასახდელი 127 მან, 80 კაპ., სულ 1994 მან. 43 კაპ.

**მირუმოვი,** ოლანეზ სარქისის ძე—ორი ერთ ეტაჟიანი და ერთი ორ ეტაჟიანი სახლი, ადგილი 241½ ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისში, 2 განყოფილების მე-14 უჩასტკაში, ავლაბარში. თავნი ვალი 3360 მან. 93 კაპ. გადასახდელი 263 მან. 40 კაპ., სულ 3,624 მან. 33 კაპ.

**კოროლენკოსი,** სოფიო კონსტანტინეს ასული—ერთ ეტაჟიანი დუქნიანი სახლი, ადგილი 27½ ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, 1 განყოფ. 1 უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 377 გან. 1 კაპ., გადასახდელი 64 მან. 20 კაპ. სულ 441 მან. 21 კაპ.

**პავლიევი,** იაკობ სიმონის ძე—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მიწა 72 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისში, 1 განყოფ. მე-5 უჩასტკაში, ნემეცების ქუჩაზე. თავნი ვალი 5,649 მან. 1 კაპ., გადასახდელია 451 მან. 99 კაპ., სულ 6,101 მან.

**ამატუნი,** ნაპოლეონ ივანეს ძე—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ზედ მიშენებული შენობებით და მიწით 548 1/10 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისში, 1 განყოფილების მე-4 უჩასტკაში ველიამინოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 51,849 მან. 81 კაპ., გადასახდელია 3,552 მან. 80 კაპ., სულ 55,502 მან. 61 კაპ.

**კუზმინი,** ლავრენტი კუზმას ძე—ერთ ეტაჟიანი სარდაფიანი სახლი, მიწა 127½ ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისში, 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში, ავჭალის ქუჩაზე. თავნი ვალი 390 მან. 73 კაპ., გადასახდელია 36 მან. 8 კაპ., სულ 426 მან. 81 კაპ.

**ერისთავი,** გიორგი გიორგის ძე—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 243 დესიატინა და 1263 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის გუბერნიის თელავის უეზდში, ქიტაურში. თავნი ვალი 7,893 მან. 82 კაპ., გადასახდელი 356 მან. 20 კაპ., სულ 8250 მან. 2 კაპ.

**ავალოვი,** ივანე ზაალის ძე—სახნავი და სამოსახლო ადგილი 151 დესიატინა და 300 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ბრეთში. თავ. ვალი 8,905 მან. 86 კაპ., გადასახდელი 398 მან. 60 კაპ., სულ 9,304 მან. 46 კაპ.

**შატბეროვისა,** ლიუდმილა ათანასეს ასული—ერთ ეტაჟიანი სახლი ბაღით სახნავი და საბალახე ადგილები 81½ დესიატინა 1000 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ხაშურში. თავნი ვალი 994 მან. 92 კაპ., გადასახდელი 76 მან. 60 კაპ., სულ 1071 მან. 52 კაპ.

**საგინოვი**, მიხეილ პაატას ძე—სახნავი მიწა და ტყე 2704 დესიატ. 420 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. თელავის უეზდში, სოფ. ახალ დაბას, ზემო-ხოდაშენს და ახშაანში. თავნი ვალი 13,822 მან. 21 კაპ., გადასახდელი 592 მან. 8 კაპ., სულ 14,414 მან. 29 კაპ.

**დოდაევისა**, თამარ ალექსანდრეს ასული —სახნავ-სათესი მიწა და ტყე 1020 დესიატ. და 1920 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. თელავის უეზდში, სოფ. ზემო-ხოდაშენთან. თავნი ვალი 8,688 მან. 21 კაპ., გადასახდელი 378 მან. 46 კაპ., სულ 9066 მან. 67 კაპ.

**ერისთავი**, გიორგი გიორგის ძე—სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, 800 დესიატ., თფ. გუბ. თიონეთის უეზდში, სოფ. ბოჩორმაში. თავნი ვალი 4746 მან. 77 კაპ., გადასახდელი 214 მან. 16 კაპ., სულ 4960 მან. 93 კაპ.

**კვეზერელისა**, ელისაბედ დავითის ასული (მყოფი გედევანოვისა)—სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები 111 დესიატ. 1560 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფ. მუხათ-გვერდში. თავნი ვალი 988 მან. 86 კაპ., გადასახდელი 58 მან. 9 კაპ., სულ 1,046 მან. 95 კაპ.

**ციციშვილი**, დავით ივანეს ძე—სახნავი და საბალახე ადგილები, 12 დესიატინა 1440 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. თორთიზას. თავნი ვალი 297 მან. 52 კაპ., გადასახდელი 29 მან. 35 კაპ., სულ 326 მან. 87 კაპ.,

**თარხან-მოურავოვისა**, მარიამ ბიძინას ასული. სახნავი და სათიბი ადგილები და ტყე, 545 დესიატ. 1645 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში სოფ. ცხოველს. თავნი ვალი 6,645 მან. 80 კაპ., გადასახდელი 292 მან. 23 კაპ., სულ 69,38 მან. 3 კაპ.

**ამილახვარი**, ამირინდო ამირინდოს ძე. სახნავ-სათესი ადგილები, 145 დესიატ. 1756 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ნაწრეტს. თავნი ვალი 2,975 მან. 74 კაპ., გადასახდელი 140 მან. 20 კაპ., სულ 3115 მან. 94 კ.

**ანდრონიკაშვილი**, ზაქარია იესეს ძე. სახნავი, სათიბი, საბალახე ადგილები და წვრილი ტყე, 15,000 დესიატინა. თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფ. ლიამბალოსთან. თავნი ვალი 59,514 მან. 87 კაპ., გადასახდელი 3,587 მან. 50 კაპ., სულ 63,102 მან. 37 კაპ.

**მაღალაშვილისა**, ნინო სარდიონის ასული. ზვარი 6 დესიატ. თფილისის გუბ. სიღნაღის უეზდში, სოფ. ბაკურციხეს. თავნი ვალი 1,700 მან., გადასახდელი 89 მან. 8 კაპ., სულ 1789 მან. 8 კაპ.

**ავატუნი**, ნაპოლეონ ივანეს ძე. ზვარი, 2 დესიატ. 90 ოთხ-კუთ. საჟ. თფ. გუბ. სიღნაღის უეზდში, სოფ. კარდანახში. თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 70 მან., სულ 2070 მან.

**ბაბაშვილი**, ნიკოლოზ მიხეილის ძე. ორი ვენახი და სახნავი ადგილები, 14 დესიატ. 2260 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. თფ. უეზდში, სოფ. ერთისთან. თავნი ვალი 1,000 მან., გადასახდელი 59 მან. 40 კაპ., სულ 1059 მან, 40 კაპ.

**ვაჩნაძე**, ივანე ბადურის ძე. ორი ვენახი, 2 დესიატინა 2021 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. სიღნაღის უეზდში, სოფ. ბაკურციხეში. თავნი ვალი 1,000 მან., გადასახდელი 42 მან. 74 კაპ., სულ 1042 მან. 74 კაპ.

**კომხაძე**, მიხეილ გიორგის ძე. ვენახი, 1 დესიატინა. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ზემო-ხანდაკთან. თავნი ვალი 300 მან, გადასახდელი 29 მან. 72 კაპ., სულ 329 მან. 72 კაპ.

**ეგოროვი**, ივანე ივანეს ძე. ვენახი, 678 და 82 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 2 განყოფილების მე-10 უჩასტკაში, წყლის-პირა ქუჩაზედ. თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 101 მან. 80 კაპ., სულ 2101 მან. 80 კაპ.

**სტეფანოვი**, გეურქ პავლეს ძე (ახლა ციციშვილისა). უდაბური ადგილი, 300 ოთხ-კუთხი საჟენი თფილისში, 2 განყოფ. მე-11 უჩასტკაში. თავნი ვალი 1,200 მანეთი, გარდასახდელი 171 მან. 24 კაპ. სულ 1371 მან. 24 კაპ.

**ქარუმიძე**, ივანე პაატას ძე. სახნავი ადგილები, 34 დესიატინა 1320 უთხ-კუთხ. საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. თიხთიხას. თავნი ვალი 900 მან. გადასახდელი 126 მან., სულ 1026 მან.

ვაჭრობა, თანახმად წესდების § 19-სა, დაიწყება ზემო მოყვანილის ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება რაც ამ მამულზედ სახელმწიფო და საერო გარდაუხდელი ხარჯი არის. თავნი ვალი ბანკისა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით (ზაკლადნი ლისტებით) იქნეს შემოტანილი მანეთში მანეთი იმათ ნომინალურ ფასისა; შეიძლება აგრეთვე, რომ ეს თავნი ვალი, ბანკის გამგეობის თანხმობით, გადატანილ იქმნეს მყიდველზედ; დანარჩენი გადასახადი რაც არის, ის კი ნაღდ ფულად უნდა იქმნეს ბანკში შემოტანილი.

თუ ვინიცობაა დანიშნულს ვადაზედ, ე. ი. ამ 1879 წლის 15 დეკემბრის არ გაიყიდა ზემო აღნიშნული მამულები, ამ შემთხვევაში, ბანკის წესდების § 22 ძალით, დანიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ამავე 1879 წლის 29 დეკემბრისათვის.

(3—2)

---

# ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** გამოიხმობს მსურველთ მიიღონ თავის თავზედ იჯარით:

1) აშენება დროებითი ხის სავაჭრო სახლებისა კახეთის მაედანზედ, ავლაბარში, და რუსის ბაზარში, და

2) გარდაკეთება და დაშენება ქალაქის სახლისა, რომელიც არის საპიორისა და პატარა ვოდოვოზნის ქუჩების კუთხეში.

ამ იჯარის აღების მსურველთ შეუძლიანთ გამოცხადდნენ ვაჭრობაზედ, რომელიც იქნება ქალაქის უპრავაში ამ ნოემბრის თვის 15-ს, ხუთშაბათს, 12 საათზედ.

ვაჭრობა სიტყვიერად იქნება და საქმე აქვე გარდაწყდება; ხელ-მეორედ ვაჭრობა აღარ დაინიშნება; შეიძლება მსურველმა კანვერტში დაბეჭდილი განცხადებაც შემოიტანოს.

მსურველს შეუძლიან ორივე ეს საგანი ერთად აიღოს იჯარითა და ან ერთი რომელიმე.

პროექტის, სმეტისა და პირობების ნახვა შეიძლება უპრავაში მუდამ დღე (დღესასწაულებს გარდა) დილის 10 საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის 2 საათამდინ.

(3—1)

---

## 25 მანეთი საჩუქარი

ვინც იპოვნის და წარმოადგენს შემდეგ დაკარგულ ნივთებსა: ერთ წყვილ ოქროს ზაპონკებს, რომელშიაც გაკეთებულია ქალის პარტრეთების მედალიონი, ნიშნის ბეჭედს და პერანგის ზაპონკებს. ყველა ეს ნივთები ჩაწყობილია წითელი ტყავის ყუთში.

მპოვნელს ვთხოვთ მოიტანოს სოლოლაკში, პეტრე აბესალომის ძის ბებუთოვისას.

(2—2)

---

კნ. იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი აუწყებს საზოგადოდ ცნობად, რომ სავაჭრო სახლი წოდებით **„კნიაზ იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი და კ.“** შედის მოქმედებაში 1-ს ნოემბერს ამა 1879 წლისას.

კანტორა სავაჭრო სახლისა იხსნება ქ. თფილისს, რუსის ბაზარში, სახლი № 10.

(3—3)

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Ноября 1879 г. Типографія Меликова.* გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი